# საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.


N 185 17/11/2015

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გაწეული მუშაობის

## ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 15 ოქტომბრიდან-15 ნოემბრამდე კომისიამ ჩაატარა სამი სხდომა, აღნიშნული სხდომების დროს განხილული იქნა ხუთი საკითხი:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

მომხს: ა. ყაზაიშვილი

2. ა.(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-ს დირექტორის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: შ.კონჯარია

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გ. აბაშმაძე

4. ა.(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-ს დირექტორის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე სამომავლო გეგმების მიმოხილვა.

მომხს: შ. კონჯარია

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. ტექნოსერვისის დირექტორის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: დ. რუსიეშვილი

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - შევიდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად და დადგეს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე.

მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ გადაწყვიტა: ა.(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-ს დირექტორის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

მესამე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ. კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ აღნიშნული სამსახურის ანგარიში შეფასდეს დადებითად.

მეოთხე და მეხუთე საკითხებთან დაკავშირებით კი კომისიამ მოისმინა ა.(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი"-ს და ოზურგეთის მუნიციპაილტეტის შ.პ.ს. „ტექნოსერვისი"-ს დირექტორების შ. კონჯარიასა და დ. რუსიეშვილის ანგარიშები მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ როგორც ა.(ა)ი.პ.-ს, ასევე შ.პ.ს.-ს საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვთ სერიოზული საქმიანობა თავიანთი კომპეტენციების მიხედვით. კომისიის სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ გაკეთდეს გრაფიკი სოფლებში, არ დგას სანაგვე ურნები ნაგვის შესაგროვებლად და წამოსაღებად ტრაქტორის მისვლის მიზნით.

კომისიამ გადაწყვიტა ა.(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი"-ს და ოზურგეთის მუნიციპაილტეტის შ.პ.ს. „ტექნოსერვისი"-ს დირექტორების შ. კონჯარიასა და დ. რუსიეშვილის ანგარიშები მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

ტარიელ არაშიძე



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია